სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

23 სექტემბერი, 2024 წელი

ბრძანება N01-02/166

„ბსუ-ს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე 2024-2025 სასწავლო წლისათვის დამატებითი მიღების გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 19 სექტემბრის N01-02/165 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე-13 მუხლის, საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის N227 ბრძანებით დამტკიცებული ,,სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის განაწილების წესის“, **„**2024–2025 სასწავლო წლისთვის ბსუ-ს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ანკეტა-კითხვარის დამტკიცების შესახებ“ **ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 6 თებერვლის N06-01/18 დადგენილების,** ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 08 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული **„სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“,** ,,ბსუ-ს 2024-2025 სასწავლო წლის **აკადემიური კალენდარის** დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 16 ივლისის №06-01/50 დადგენილების (ცვლილება დადგენილებით N06-01/65, 12.09.2024წ.), ,,ბსუ-ს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე 2024-2025 სასწავლო წლისათვის მიღების გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 21 აგვისტოს N01-02/144 ბრძანების, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის (MES 6 24 0001172860; 20/09/2024), იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის (MES 6 24 0001180186; 23/09/2024) სამსახურებრივი ბარათების საფუძველზე და 2024 წლის 9-12 სექტემბერს ჩატარებული მისაღები გამოცდების შედეგების გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. **შევიდეს ცვლილება** „ბსუ-ს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე 2024-2025 სასწავლო წლისათვის დამატებითი მიღების გამოცხადების შესახებ“ **ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 19 სექტემბრის N01-02/165 ბრძანებაში,** კერძოდ **დანართი N1** (მაგისტრატურაში ვაკანტური ადგილები) შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს წინამდებარე ბრძანების **N1 დანართის** შესაბამისად.
2. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (ა. ბერიძე), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს და ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს (ფაკულტეტებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს).

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. № 30.) მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში.

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი
პროფესორი **მერაბ ხალვაში**

„ბსუ-ს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე 2024-2025 სასწავლო წლისათვის დამატებითი მიღების გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 19 სექტემბრის N 01-02/165 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“

ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 23 სექტემბრის N01-02/166 ბრძანების

№1 დანართი

2024-2025 სასწავლო წლისათვის ბსუ-ს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები ადგილები (რედაქტირებული - 23.09.2024 წ.)

№	ბსუ-ს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	ბსუ-ს ფაკულტეტი	სტუდენტთა მისაღები რაოდენობა	პროგრამების აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	პროგრამაზე სწავლის წლიური საფასური
1.	ეკონომიკა	ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი	9	31.12.2028	**2250 ₾**
2.	ფინანსები და საბანკო საქმე	ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი	4	31.12.2024	**2250 ₾**
3.	განათლების ადმინისტრირება	ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი	1	31.12.2024	**2250 ₾**
4.	კომპიუტერული მეცნიერება	ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი	5	31.12.2032	**2250 ₾**
5.	მათემატიკა	ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი	3	01.07.2027	**2250 ₾**
6.	პროფესიული და უწყვეტი განათლება	ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი	4	01.07.2025	**2250 ₾**
7.	სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობა	ტექნოლოგიური ფაკულტეტი	5	31.12.2026	**2250 ₾**
8.	ტურიზმის მენეჯმენტი	ტურიზმის ფაკულტეტი	3	01.07.2030	**2250 ₾**
9.	ციფრული მედია და ინოვაციები	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი	2	11.05.2026	**2250 ₾**
10.	ქართული ლიტერატურა და ლიტერატურის შედარებითი კვლევები	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი	1	31.03.2030	**2250 ₾**
11.	ეკოლოგია	საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი	3	01.07.2032	**2250 ₾**
12.	სამართალი	იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი	2	01.07.2026	**2250 ₾**